

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერი

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	5
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	6
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	7

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

შენიშვნები	პერიოდი დამთავრებული 2019 წლის 31 დეკემბერს	პერიოდი დამთავრებული 2018 წლის 31 დეკემბერს	პერიოდი დამთავრებული 2017 წლის 31 დეკემბერს
ლარებში			
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	270,396	283,262	159,859
არამატერიალური აქტივები	4,640	5,458	6,421
ნარგავები	0	0	0
გაცემული სესხები - გრძელვადიანი	0	0	0
ინვესტიციები	0	0	0
სხვა ფინანსური აქტივები	0	0	0
სულ გრძელვადიანი აქტივები	275,036	288,720	166,280
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	1,078,742	2,888,376	1,201,126
სავაჭრო მოთხოვნები	1,320,896	1,097,096	1,873,334
წინასწარი გადახდები	0	0	0
გაცემული სესხები - მოკლევადიანი			
ფული სალაროსა და ბანკში	142,670	89,091	492,343
სულ მიმდინარე აქტივები	2,542,308	4,074,563	3,566,803
სულ აქტივები	2,817,344	4,363,283	3,733,083
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი და რეზერვები			
საწესდებო კაპიტალი	1,500,000	1,500,000	1,500,000
გადაფასების რეზერვი	0	0	0
გაუნაწილებელი მოგება	1,002,797	1,492,092	1,019,24
სულ კაპიტალი და რეზერვები	2,502,797	2,992,092	2,519,240
გრძელვადიანი ვალდებულებები			
საბანკო კრედიტები - გრძელვადიანი	43,016	963,690	869,294
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	0	0	0
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	43,016	963,690	869,294
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	271,531	407,501	344,549
წინასწარ მიღებული ანაზღაურება	0	0	0
საბანკო კრედიტები - მოკლევადიანი			
გადასახდელი დივიდენდები	0	0	0
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	0	0	0
სულ მიმდინარე ვალდებულებები	271,531	407,501	344,549
სულ ვალდებულებები	314,547	1,371,192	1,213,843
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	2,817,344	4,363,283	3,733,083

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

შენიშვნები	პერიოდი დამთავრებული 2019 წლის 31 დეკემბერს	პერიოდი დამთავრებული 2018 წლის 31 დეკემბერს
ლარებში		
შემოსავალი მომსახურებიდან	0	0
შემოსავალი საქონლისა და მზა პროდუქციის გაყიდვებიდან	5,981,276	8,219,177
გაყიდული საქონლისა და მზა პროდუქციის თვითღირებულება	-5,434,182	-7,104,002
საერთო მოგება	547,094	1,115,175
სხვა შემოსავალი	0	0
მიწოდების ხარჯები	-12,010	-318,533
ადმინისტრაციული ხარჯები	-1,038,469	-820,888
სხვა ხარჯები	0	0
საოპერაციო მოგება	-503,385	-24,246
საფინანსო (საპროცენტო) ხარჯები	-78,586	-85,813
საკუროსო სხვაობები	38,446	11,077
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	706,432	773,924
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	0	0
მოგება მოგების გადასახადამდე	162,907	674,942
მოგების გადასახადის ხარჯი	0	-9,003
წლის მოგება	162,907	665,939
შემოსულობა გადაფასების რეზერვიდან	0	0
წლის სრული შემოსულობები	162,907	665,939

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

ლარებში	სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში საპაიო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	სულ საკუთარი კაპიტალი
ადრე წარმოდგენილი ნაშთი 2017 წლის საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის	1,500,000	1,019,240	2,519,240
დაკორექტირებული ნაშთი 2017 წლის საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის	1,500,000	1,019,240	2,519,240
2018 წლის მოგება/(ზარალი)		665,939	665,939
2018 წლის მთლიანი სრული შემოსავალი/(ზარალი)	0	665,939	665,939
საანგარიშო 2018 წლის განმავლობაში დივიდენდის გამოცხადება		-193,087	-193,087
ნაშთი საანგარიშო 2018 წლის ბოლო თარიღისათვის	1,500,000	1,492,092	2,992,092
2019 წლის მოგება/(ზარალი)		162,907	162,907
2019 წლის მთლიანი სრული შემოსავალი/(ზარალი)	0	162,907	162,907
საანგარიშო 2019 წლის განმავლობაში დივიდენდის გამოცხადება		-652,202	-652,202
ნაშთი საანგარიშო 2019 წლის ბოლო თარიღისათვის	1,500,000	1,002,797	2,502,797

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ლარებში

წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან
 წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან
 წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან
 წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში

უცხოური ვალუტის ეფექტი ფულზე
 ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე პერიოდის დასაწყისში
 ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე პერიოდის ბოლოს

პერიოდი დამთავრებული 2019 წლის 31 დეკემბერს	პერიოდი დამთავრებული 2018 წლის 31 დეკემბერს
<u>1,660,431</u>	<u>- 164,597</u>
<u>-33,974</u>	<u>-163,918</u>
<u>-1,572,878</u>	<u>-85,813</u>
<u>53,579</u>	<u>-414,328</u>
0	11,076
89,091	492,343
142,670	89,091

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1 ძირითადი საკმისობა და ზოგადი ინფორმაცია

შპს ჯორჯიან მობაილ იმპორტი ს/კ 206337711 (კომპანია) 2009 წელს დაფუძნდა, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება და დაარსების დღიდან დღემდე ახორციელებს მობილური ტელეფონების და კომპიუტერული ტექნიკის აქსესუარების იმპორტსა და შემდგომ რეალიზაციას ადგილობრივ ბაზარზე. დარეგისტრირებულია მისამართზე: საქართველო, თბილისი, ისნის რაიონი, ვახტანგ გორგასლის ქ., №91.

კომპანიის წილის მფლობელები არიან ფიზიკური პირები:

ბონდო გოლეთიანი პ/ნ 01017010532 17.49%;

შალვა ერისთავი პ/ნ 08001002432 11.01%;

გვანცა მგალობლიშვილი პ/ნ 01013008413 19.03%;

ლექსო გოლეთიანი პ/ნ 01017020554 17.49%;

ჭიჭიკო გოლეთიანი პ/ნ 01017004624 34.98%.

კომპანიის დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 2019 წელს შეადგენდა 31 თანამშრომელს (2018 - 31 თანამშრომელი).

2 შედგენის საფუძველი

2.1 განცხადება შესაბამისობის თაობაზე

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოქვეყნებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

2.2 მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით.

2.3 საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა, რადგან იგი ყველაზე საუკეთესოდ ასახავს კომპანიის ოპერაციებისა და კომპანიის სამოქმედო გარემოში მიმდინარე ეკონომიკური მოვლენების შინაარსს.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში. ყველა ფინანსური მონაცემი წარმოდგენილი ლარებში დამრგვალებულია უახლოეს ლარამდე.

3 ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკა

3.1 უცხოური ვალუტა

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

ფინანსური ანგარიშგების მომზადების მიზნებისათვის, საანგარიშგებო ვალუტისაგან (ლარი) განსხვავებულ, უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები გადაიყვანება ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით, რომელიც 2019 წლის 31 დეკემბერს ერთი ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 2.8677 ლარს და ერთი ევროსათვის შეადგენს 3.2095 (2018 წლის 31 დეკემბერი: ერთი ამერიკული დოლარი 2.6766 ლარი, ერთი ევრო 3.0701). არაფულადი მუხლების გადაანგარიშება წლის ბოლო კურსით არ ხდება და ისინი ბალანსში წარდგენილია ისტორიული ღირებულებით (ლარში გადაყვანილია ოპერაციის განხორციელების დღის კურსით).

საკურსო სხვაობით გამოწვეული სხვაობები ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

3.2 ძირითადი საშუალებები

პროდუქციის წარმოების, მიწოდების ან ადმინისტრაციული მიზნებისთვის გამოყენებული ძირითადი საშუალებები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარდგენილია ისტორიული ღირებულებით, რაც შემცირებულია დაგროვილი ცვეთით.

ძირითადი საშუალებები, აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მცირდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხებით. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებები შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

მოგება, ან ზარალი, რომელიც წარმოიშვება აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით, მიღებულ სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ცვეთის ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ან ემატება სხვა აქტივების საბალანსო ღირებულებას შემცირებადი ნაშთის მეთოდით, თითოეული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება. ძირითადი საშუალებების ჯგუფებისთვის განსაზღვრული შესაბამისი სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

შენობა ნაგებობები - 30 წელი;
მანქანა-დანადგარები და მოწყობილობები - 5 წელი;
ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და ინვენტარი - 5 წელი;
სატრანსპორტო საშუალებები - 5 წელი;
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა - 7-10 წელი.

3.3 არამატერიალური აქტივები

კომპანიის მიერ შეძენილი არამატერიალური აქტივები, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, წარმოდგენილია თვითღირებულებით, რომელსაც გამოკლებული აქვს დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი.

შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივებისთვის ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში შემცირებადი ნაშთის მეთოდით მათი სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად, რომელიც საშუალოდ შეადგენს 5-7 წელს, პროგრამული უზრუნველყოფისათვის, უფლებებისათვის და სხვა.

განუსაზღვრელი ვადის მქონე არამატერიალურ აქტივებს ამორტიზაცია ერიცხება შემცირებადი ნაშთის მეთოდით წლიური 15 %-ით.

3.4 სასაქონლო მატერიალური მარაგები

მარაგი ისეთი აქტივებია, რომლებიც გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში ან წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით, რომლებიც განკუთვნილია საწარმოო მოხმარებისთვის ან მომსახურების გასაწევად.

სასაქონლო მატერიალური მარაგების შეფასება ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესისათვის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით. სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილ მეთოდით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან, ადგილზე მიტანასთან, გადამუშავებასთან და მის იმ მდგომარეობამდე მიყვანასთან როგორშიც ის იმყოფება.

3.5 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება, შეფასება და ჩამოწერა

ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება აღიარდება, მას შემდეგ, რაც კომპანია ხდება ფინანსური ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე.

ფინანსური აქტივების აღიარება წდება, როდესაც ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი ნაკადების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს ვადა გასდის, ან იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებულ რისკს და სარგებელს.

ფინანსური ვალდებულების აღიარება წდება, როდესაც ის შესრულდება, ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

3.6 კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალის ოდენობა განსაზღვრულია კომპანიის წესდებით. ცვლილებების საწესდებო კაპიტალში (მათ შორის საწესდებო კაპიტალის, დამფუძნებლების და ა.შ) შესაძლოა განხორციელდეს მხოლოდ დამფუძნებელთა გადაწყვეტილებით. საწესდებო კაპიტალი აღიარებულია კომპანიის კაპიტალში მისი დამფუძნებლების ფაქტობრივი შენატანების მიხედვით.

აკუმულირებული მოგება-ზარალი შეიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების აკუმულირებულ მოგება-ზარალს.

დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება იმ პერიოდში, რომელშიც გამოცხადდა.

3.7 შემოსავლის აღიარება

შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, მასში გათვალისწინებულია სავაჭრო ფასდათმობები და კომპანიის მიერ დაშვებული სხვა შეღავათები.

შემოსავალი შემცირებულია გაყიდული საქონლის უკან დაბრუნებით, ფასდათმობებით და სხვა მსგავსი შეღავათებით.

შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან

შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან შეიძლება აღიარდეს, როდესაც ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა არის შესრულებული:

- კომპანიამ გადასცა მყიდველს საქონელი და მფლობელობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი;
- კომპანიას აღარ აქვს რეალიზებულ საქონელზე არანაირი მმართველობითი უფლება ან კონტროლი;
- შემოსავალი საიმედოდ შეიძლება შეფასდეს;
- როცა შესაძლოა, რომ კონტრაქტთან დაკავშირებული შემოსავალი შემოვა კომპანიაში; და

ოპერაციასთან დაკავშირებული დარიცხული და დასარიცხი ხარჯები საიმედოდ იქნეს შეფასებული.

3.8 ნაღდი ფული და მისი ეკვივალენტები

ფულადი ნაკადების ანგარიშგების შედგენის მიზნებისათვის, ფულადი სახსრების ეკვივალენტები არის მოკლევადიანი, მაღალლიკვიდური ინვესტიციები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფულადი სახსრების ეკვივალენტები უფრო მეტად გამიზნულია მოკლევადიან ვალდებულებათა შესასრულებლად, ვიდრე ინვესტიციებისათვის ან სხვა მიზნით. კომპანიის მიერ ინვესტიცია კლასიფიცირდება როგორც ფულადი სახსრების ეკვივალენტი, თუ იგი ადვილად გაცვლადია წინასწარ ცნობილ ნაღდი ფულის ოდენობაზე და მისი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა.

ფინანსური ანგარიშგება დადასტურებულია 2020 წლის 25 იანვარს

დირექტორი - ლექსო გოლეთიანი



